პროექტი

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №**

**2023 წლის „ “ დეკემბერი, ქალაქი ბათუმი**

**ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ქ. ბათუმში, ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. N13-ში; ფიროსმანის ქუჩაზე; ფიროსმანის ქ. N15-ში; ფიროსმანის ქ. N17-ში; ფიროსმანის ქ. N17ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 05.24.08.108; 05.24.08.169; 05.24.08.107; 05.24.08.155; 05.24.08.173) დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, თანახმად დანართისა.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილი მშენებლო-ბის (შეთანხმებული პროქტის მიხედვით გადამეტებული) $კ^{1/2}$ მაჩვენებლის 10 %-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

3. განემარტოს შპს ,,ჩემი სახლის’’ (ს/N445596310) რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის (მეორე ეტაპი) ეტაპზე დაიცვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2023 წლის 07 დეკემბრის N 01-01-10/6773 წერილით დადგენილი მოთხოვნები.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5 . განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე**
**რამაზ ჯინჭარაძე**

**განმარტებითი ბარათი**

## პროექტის სახელწოდება და სათაური

## ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ"
## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

### ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

### ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

განკარგულების მიღების მიზანია ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. N13-ში; ფიროსმანის ქუჩაზე; ფიროსმანის ქ.N15-ში; ფიროსმანის ქ.N17-ში; ფიროსმანის ქ.N17ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე 05.24.08.108; 05.24.08.169; 05.24.08.107; 05.24.08.155; 05.24.08.173 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

ქალაქ ბათუმის მუნიიცპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა შპს ,,ჩემი სახლი''-მ და მოითხოვა ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. N13-ში; ფიროსმანის ქუჩაზე; ფიროსმანის ქ. N15-ში; ფიროსმანის ქ. N17-ში; ფიროსმანის ქ. N17ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.24.08.108; 05.24.08.169; 05.24.08.107; 05.24.08.155; 05.24.08.173) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მოიცავს შემდეგ მიწის ნაკვეთებს: ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. N13-ში და ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთები 05.29.06.024; N05.29.06.025. დაგეგმილია განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდა 18,5-მდე.

შპს ,,ჩემი სახლი'' (ს/N445596310) ვალდებულია დაიცვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2023 წლის 07 დეკემბრის N01-01-10/6773 წერილით დადგენილი მოთხოვნები.

კ2 კოეფიციენტის გადამეტების საკომპენსაციოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) კ1/2 მაჩვენებლის 10 %-ის ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

### ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ.N13-ში; ფიროსმანის ქუჩაზე; ფიროსმანის ქ. N15-ში; ფიროსმანის ქ. N17-ში; ფიროსმანის ქ.N17ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე : 05.24.08.108; 05.24.08.169; 05.24.08.107; 05.24.08.155; 05.24.08.173 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების მიზნით განკარგულების მიღება.

### ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარ–ჯების დაფინანსების წყარო: არ გამოიწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე – არ გამოიწვევს.

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ(ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

**ე) პროექტის ავტორი:**

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.**

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

**ზ)** განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის**

**ქალაქგანვითარებისა და ურბანული**

**პოლიტიკის სამსახურის უფროსი გიორგი წანაწყენიშვილი**